



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მზეთამზე

მზეთამზე, სოფელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ბორჯომის მუნიციპალიტეტში (დაბა წაღვერის ადმ. ერთეული). მდებარეობს თორის ქვაბულში, ციხისჯვრის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. გუჯარეთისწყლის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1225 მ, ბორჯომიდან 18 კმ. 346 მცხ. (2014). მ. განსაკუთრებული მდებარეობისა და მრავალფეროვანი ბუნების წყალობით უნიკალური ადგილობრივი კურორტია. სოფლის ძვ. სახელწოდება სამძივისხევი უკავშირდება სამძივართა ცნობილ ფეოდალურ საგვარეულოს.

მ-ში შემონახულია ადრეფეოდალ. ხანის რამდენიმე ქვაკვარი.

სოფელს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი-თორი, ჯავახეთი, თბ., 1985.
